შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში

ხელმძღვანელი: ასოცირებული
პროფესორი ლელა თურმანიძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები

1999 წლის 19 ივნისს ევროპის 29 ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მსოფლიოს უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქ ბოლონიაში ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნის პროცესს. დღეისათვის ბოლონიის პროცესში მონაწილეობს ევროპის 46-მდე ქვეყანა. ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნები წარმოდგენილი არიან როგორც სამთავრობო, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების დონეზე. საქართველო ბოლონიის პროცესის წევრად 40 ქვეყნის განათლების მინისტრმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ 2005 წლის 19-20 მაისს, ნორვეგიის ქალაქ ბერგენში აღიარა.

ბოლონიის პროცესის მიზანია საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი, მიმზიდველი ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რაც განათლების ხარისხის უზრუნველყოფით, ევროპის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სისტემებს შორის კავშირების გამყარებითა და ერთმანეთთან თავსებადობით მიიღწევა.

2003 წლის 19 სექტემბრის ბერლინის კომუნიკეს მიხედვით, ბოლონიის პროცესის ხელმომწერი ქვეყნების მინისტრებმა აღიარეს, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განვითარებაში განათლების ხარისხს უმთავრესი ადგილი უკავია და აიღეს ვალდებულება ხელი შეუწყონ ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებას ინსტიტუციურ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ინსტიტუციური ავტონომიურობის პრინციპების შესაბამისად, უმაღლესი განათლების სისტემაში მთავარი პასუხისმგებლობა ხარისხის უზრუნველყოფაზე თვით საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეკისრება, რაც ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ სისტემაში აკადემიური სისტემის რეალური ანგარიშვალდებულებისათვის საფუძვლის ჩაყრას.

ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყნების განათლების მინისტრებმა მოიწვიეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრები, რომლებსაც ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაციების (EURASH) და ევროპაში სტუდენტთა ევროპული კავშირის (ESIB) წევრებთან ერთად დაევალათ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ერთმანეთთან შეთანხმებული კრებულის შემუშავება და ხარისხის უზრუნველყოფისა და სააკრედიტაციო სტრუქტურებისათვის ადეკვატური შეფასების სისტემის შექმნის გზების დადგენა. აღნიშნული დავალების საპასუხოდ შეიქმნა კრებული: "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში", კრებული გამოიცა 2005 წელს ჰელსინკში და ხელმოწერილია კომუნიკეში მოხსენიებული ყველა ორგანიზაციის მიერ.
აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი პრინციპები:

1. უნივერსიტეტების *ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია და პროცედურები*

სტანდარტი:

> უნივერსიტეტებს უნდა გააჩნდეთ სტრატეგია და შესაბამისი პროცედურები პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისათვის. მათ ასევე უნდა განავითარონ კულტურა, რომელიც აღიარებს ხარისხის და მისი უზრუნველყოფის მნიშვნელობას უნივერსიტეტის მუშაობაში. ამ მიზნით, უნივერსიტეტებმა უნდა შეიმუშავონ და განახორციელონ ხარისხის გაძლიერების უწყვეტი სტრატეგია.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- სწავლებასა და სამეცნიერო კვლევებს შორის დამოკიდებულება
- უნივერსიტეტის სტრატეგია ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან მიმართებით

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მოწყობა
- უნივერსიტეტის განყოფილებების, სკოლების, ფაკულტეტების და სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ინდივიდების მოვალეობა/პასუხისმგებლობა ხარისხის უზრუნველყოფაში
- სტუდენტთა მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფაში
- გზები და საშუალებები, რომლითაც სტრატეგია ხორციელდება, განახლდება და გაეწევა მონიტორინგი

2. პროგრამების დამტკიცებისა და დიპლომების დამოწმების მონიტორინგი

სტანდარტი:

უნივერსიტეტებს უნდა გააჩნდეთ პროგრამებისა და დიპლომების დამტკიცების, პერიოდული შემოწმებისა და მონიტორინგის ოფიციალური მექანიზმები.

სახელმძღვანელო პრინციპები:

უმაღლეს განათლებაში სტუდენტთა და დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვება უნდა დაეფუძნოს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურ ღონისძიებებს, რომლებიც იძლევიან იმის გარანტიას, რომ პროგრამები კარგად იქნება შექმნილი, რეგულარულად მოხდება მათი მონიტორინგი და პერიოდული განახლება.

პროგრამებისა და დიპლომების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ✓ სწავლების დაგეგმილი შედეგების შემუშავება და გამოქვეყნება
- ✓ კურიკულუმებისა და პროგრამების შედგენის პროცედურებს
- ✓ სასწავლო რესურსების მისაწვდომობა
- ✓ პროგრამების დამტკიცების ოფიციალური პოცედურები (პროგრამის დამტკიცება უნდა მოხდეს იმ ორგანოს მიერ, რომელიც ამ პროგრამით არ ასწავლის);
- ✓ სტუდენტების პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგი
- ✓ პროგრამების პერიოდული შემოწმება (გარეშე წევრების გუნდის ჩათვლით)
- ✓ დამსაქმებელთა, შრომის ბაზრის წარმომადგენელთა და სხვა ორგანიზაციების მხრიდან რეგულარული რეაგირება

3 სტუდენტთა შეფასება

სტანდარტი:

სტუდენტები უნდა შეფასდნენ საჯაროდ გამოქვეყნებული კრიტერიუმების, წესებისა და პროცედურების შესაბამისად, რომლებიც გულისხმობენ შეფასების პროცესის უწყვეტობას.

სახელმძღვანელო პრინციპები:

სტუდენტთა შეფასება უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. შეფასების შედეგებს დიდი გავლენა აქვთ სტუდენტთა მომავალ კარიერაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ყოველთვის გაკეთდეს კვალიფიციურად. შეფასება, უნივერსიტეტებს ასევე სთავაზობს ღირებულ ინფორმაციას, სწავლების ეფექტურობის შესახებ.

სტუდენტის შეფასების პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

- ✓ უნდა გაიზომოს სწავლების დაგეგმილი შედეგებისა და პროგრამის სხვა მიზნების მიღწევა
- ✓ უნდა გააჩნდეს ქულების მინიჭების მკაფიო და საჯარო კრიტერიუმები
- ✓ უნდა შესრულდეს იმ პირების მიერ, რომლებსაც ესმით შეფასების როლი სტუდენტების განვითარების საქმეში, კონკრეტული სპეციალობისთვის გამიზნული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მისაღწევად
- ✓ შეძლებისდაგვარად არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ერთი გამომცდელის შეფასებას
- ✓ უნდა ითვალისწინებდეს საგამოცდო წესების ყველა შესაძლო შედეგებს
- ✓ უნდა გააჩნდეს მკაფიო წესები, რომლებიც სტუდენტების გაცდენას, ავადმოყოფობას ან სხვა საპატიო ვითარებას მოიცავს
- ✓ უნდა იყოს გარანტიები იმისა, რომ შეფასებები უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად ტარდება
- ✓ პროცედურული სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასება შესაძლოა გახდეს ადმინისტრაციული გადამოწმების საგანი

4. პედაგოგიური კადრების ხარისხის უზრუნველყოფა

სტანდარტი:
უნივერსიტეტებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი სტრუქტურის კომპეტენტური და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების გზები. ინფორმაცია კადრების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს აგრეთვე გარე ექპერტებისათვის.

სახელმძღვანელო პრინციპები:
პედაგოგიური პერსონალი სტუდენტებისათვის სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კადრების აყვანისა და დანიშვნის პროცედურები ითვალისწინებდეს სავალდებულო კომპეტენციებს. პედაგოგიურ კადრებს საშუალება უნდა მიეცეთ განავითარონ და გააფართოონ სწავლების შესაძლებლობები. უნივერსიტეტებს უნდა გააჩნდეთ საშუალება ისეთი მასწავლებლების დათხოვნისა, რომლებიც არაეფექტურად ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

5. სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა

სტანდარტი:
ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტების დამხმარე სასწავლო რესურსების ადეკვატურობა და მათი შესაბამისობა ცალკეულ პროგრამასთან.

სახელმძღვანელო პრინციპები:
პედაგოგიური პერსონალის გარდა, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ დამხმარე სასწავლო წყაროების იმედიც. ეს წყაროები სხვადასხვაა, დაწყებული მატერიალური რესურსებიდან, როგორიცაა ბიბლიოთეკა ან კომპიუტერული მოწყობილობები, დამთავრებული – ხელმძღვანელის, მრჩეველების და სხვათა ადამიანური მხარდაჭერით. უნივერსიტეტებმა რუტინულად უნდა აწარმოონ მონიტორინგი და გააუმჯობესონ სტუდენტებისთვის შეთავაზებული სასწავლო რესურსების ეფექტურობა.

6. საინფორმაციო სისტემები

სტანდარტი:
სასწავლო პროგრამებისა და სხვა საქმიანობების ეფეტურად მართვის მიზნით, უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გამოქვეყნება.

სახელმძღვანელო პრინციპები:
ინსტიტუციონალური თვითშეფასება საწყისი წერტილია ხარისხის ეფექტური უზრუნველყოფისთვის. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტებს ჰქონდეთ მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საშუალებები. ამის გარეშე, მათ არ ეცოდინებათ თუ რა მუშაობს კარგად, რა საჭიროებს მეტ ყურადღებას, ან რა შედეგები მოიტანა ინოვაციური პრაქტიკის დანერგვამ. თვითშეფასება მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა:

- ✓ სტუდენტების პროგრესი და წარმატების კოეფიციენტი
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა
- ✓ სტუდენტების დაკმაყოფილება პროგრამებით
- ✓ მასწავლებელთა მაღალი ქმედითუნარიანობა
- ✓ სასწავლო რესურსები უნივერსიტეტის ხარჯზე
- ✓ საკუთრივ უნივერსიტეტის ძირითადი მოღვაწეობის მაჩვენებლები.

7. საჯარო ინფორმაცია

სტანდარტი:

უნივერსიტეტებმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნონ განახლებული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამებისა და დიპლომების შესახებ.

სახელმძღვანელო პრინციპები:

უნივერსიტეტები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ პროგრამების, სწავლების დაგეგმილი შედეგების, კვალიფიკაციებისა და დიპლომების, სწავლების, სწავლისა და შეფასების გამოსაყენებელი პროცედურების, სტუდენტებისთვის სწავლის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობაზე.

წარმოდგენილი სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის შიგა სისტემებს. კრებულში მოცემულია აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის გარე სისტემის – აკრედიტაციის სტანდარტები და ძირითადი პრინციპები.

(გამოყენებულია ამონარიდი კრებულიდან: *"ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში"*, კრებული მომზადდა და გამოიცა "ტემპუსის" ეროვნული ბიუროს მიერ, ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით.)

ცხადია, საერთაშორისო შეთანხმებების კვალდაკვალ საქართველოში მზადდებოდა განათლების სისტემის რეფორმა, რამაც პირველ რიგში ასახვა ჰპოვა კანონში "უმაღლესი განათლების შესახებ". კანონმდებლობით განისაზღვრა უნივერსიტეტების სავალდებულო სტრუქტურა, გაიმიჯნა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოს (მმართველი სუბიექტების) კომპეტენციები. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიეცათ უფლება წესდებით განსაზღვრონ დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, მათი მართვისა და საქმიანობის წესი. საყურადღებოა, წესდება მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, ამდენად, კანონმდებლობის სრული დაცვის შემთხვევაში გარანტირებულია უნივერსიტეტის მოქნილი სტრუქტურა, ასევე კომპეტენციების გამიჯვნა უნივერსიტეტის სხვადასხვა მართვის ორგანოს, ძირითად და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს "ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს აკრედიტაციის სისტემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) სამსახურების ამოქმედებას;"

სამსახურის ძირითადი ფუნქციები კი განსაზღვრულია კანონის 25-ე მუხლით:

- ✓ სამსახური იქმნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით ;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდრო კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) დანერგვის გზითა და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი ფაქტების მიმოხილვის მიზანია დაინტერესებულმა პირმა კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი უნივერსიტეტის წესდებას, მის სტრუქტურას, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, მათი მიღების პროცედურებს და თავად გააკეთოს დასკვნა, თუ რამდენად ეფექტურად და კანონმდებლობის შესაბამისად არის განაწილებული ფუნქციები რსუ-ში, ასევე რამდენად არის უზრუნველყოფილი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოების კოორდინირებული თანამშრომლობა.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

(QA სამსახური)

2000-2003 წლებში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართული იყო ტემპუსის საგრანტო პროექტში "ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრების ჩამოყალიბება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში". აღნიშნულმა პროექტმა საფუძველი ჩაუყარა რსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრის არსებობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, როგორც მართვის ორგანო, ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა 2006 წლის მიწურულს, როცა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ, არჩეულ იქნა სამსახურის ხელმძღვანელი. 2008 წლის 9 ივლისს რსუ-ს აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგინა ჩემი კანდიდატურა. 2008 წლის 10 ივლისს წარმომადგენლობითმა საბჭომ დამამტკიცა აღნიშნულ თანამდებობაზე.

უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებს გაგვიზიარა გამოცდილება. ჩაგვიტარდა სემინარები QA სამსახურის მუშაობის პრინციპებზე. ვთანამშრომლობდით ასევე სხვადასხვა აკრედიტებული უსდ-ების QA სამსახურებთან. აღნიშნული ურთიერთობები გრძელდება და დაგეგმილია QA სამსახურების ასოციაციის ჩამოყალიბება.

QA სამსახურის ხელმძღვანელად არჩევიდან მოკლე დროში შემუშავდა და დადგენილი პროცედურების დაცვით დამტკიცდა სამსახურის დებულება.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (2008 წლის ივლისი) რამდენიმე ფაკულტეტზე QA სამსახური ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებდა (ჰუმანიტარული, სასოფლო-სამეურნეო და ჯანდაცვის ფაკულტეტები). სამწუხაროდ სამსახურმა განიცადა მძიმე დანაკლისი, - გარდაიცვალა მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რეზო ქათამაძე.

ამჟამად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფუნქციონირებს შემდეგი შემადგენლობით:

სამსახურის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ლელა თურმანიძე

მარინა სიორიძე – სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები

ასოც. პროფ. მაია ბარამიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ასოც. პროფ. ლევან ჯაყელი – სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

ასოც. პროფ. ნინო სვანიძე – მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ასოც. პროფ. ლეილა ახვლედიანი – საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ასოც. პროფ. დარეჯან ჯაში – სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი

ასოც. პროფ. თემურ ჯოჯუა – საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

ასოც. პროფ. ნანა მაკარაძე – განათლების ფაკულტეტი

ასოც. პროფ. შორენა ვაშაძე – ჯანდაცვის ფაკულტეტი

სამსახურის სამდივნო

ლაშა ასლანიშვილი – მთავარი სპეციალისტი, სტუდენტთა და პროფესორ - მასწავლებელთა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი

ნარგიზ ვარშალომიძე – მთავარი სპეციალისტი, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი

ზურა ჯიჯავაძე – მთავარი სპეციალისტი, სამსახურის პროგრამულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

თამარ ხინიკაძე – წამყვანი სპეციალისტი, დისტანციური სწავლების ცენტრი

ნინო კვირცხალია – სპეციალისტი

როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩამოაყალიბოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით, პერიოდულად ტარდება სამუშაო შეხვედრები, სემინარები, კონფერენციები და აკადემიური სამიტები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მუშაობის პრინციპებსა და უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით ხორციელდება ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი. აღნიშნულ პროექტში რსუ წარმოადგენს მოსარგებლე მხარეს. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებულ სამუშაო ჯგუფებში ჩართულია ჩვენი სამსახურის რამდენიმე წევრი.

აღსანიშნავია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისადმი საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების ექსპერტის, საქართველოს თუნინგის პროექტის ჯგუფის წარმომადგენელის – ლალი ბაქრაძის, თანადგომა. მისი უშუალო ძალისხმევით ჩატარდა ოთხი სემინარი ქალაქ თბილისში, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან, კურიკულუმის აგების მეთოდოლოგიასთან და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან დაკავშირებით. განხორციელდა სამი ვიზიტი რსუ-ში და ჩატარდა სემინარები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებსა და დაინტერესებულ პირებთან, მობილობის პროცესთან, თუნინგის მეთოდოლოგიასა და პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებით.

განათლების სამინისტროს ინიციატივით მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელთან ქალბატონ ლიკა ღლონტთან 2008 წლის ზაფხულში, 2009 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ევროკომისიის მიერ განხორციელებული პროგრამის, - ”ტემპუსის” გრანტების მოსაპოვებლად პროექტების მომზადებასა და წარდგენის პროცედურასთან დაკავშირებით. ჩვენი სამსახური გასული სასწავლო წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა ტემპუსის ეროვნულ ოფისთან. რსუ ჩართული იყო ევროკომისიაში წარდგენილ ათამდე პროექტში, რომელთაგან ერთმა მოიპოვა ევროკომისიის დაფინანსება.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტთან. ევროპული კვლევების ინსტიტუტის წარმომადგენლებმა; პროფესორმა ბადრი ქოჩორაძემ, რსუ-ს საპატიო დოქტორმა ალბან რიშარმა, ინსტიტუტის მენეჯერმა ცირა ჩიკვაიძემ, ექსპერტმა პიტერ დებერსენმა, საფრანგეთის პერ მენდესის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის “ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და ბოლონიის პროცესი” ფარგლებში, 2009 წლის მაისში ჩაატარეს სემინარები რსუ-სა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ორივე სემინარის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

2010 წლის ზაფხულში დაგეგმილია საზაფხულო სკოლისა და საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტი უმასპინძლებს. კონფერენციის პროგრამა შედგენილია პარტნიორ უნივერსიტეტებთან შეთანხმებით. იგი სულ მალე განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დაეგზავნება აგრეთვე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს.

რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ევროპული კვლევების ინსტიტუტის ეგიდით 2009 წლის სექტემბერში ჩატარდა სემინარი - “სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში”, სემინარს უძღვებოდა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში პიტერ დებერსენი. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა და დეპარტამენტების წარმომადგენლებმა.

ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებისა და მექანიზმების ჩამოყალიბებას, თუმცა სამსახურის შემადგენლობის არასტაბილურობამ, საფაკულტეტო სამსახურში პერსონალის სიმწირემ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მუშაობის ეფექტურობაზე. სასურველია, ცალკეულ

დეპარტამენტს, შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ჰყავდეს თითო წარმომადგენელი მაინც. ასევე აუცილებლად მიმაჩნია, კომპეტენციების გამიჯვნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და ზოგიერთ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს შორის. გაუმართლებელია, კანონმდებლობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციაში შემავალი ფუნქციების შესრულების მიზნით, QA სამსახურისაგან დამოუკიდებელი, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების შექმნა,

სამსახურის მიერ ჩატარებული ღონისძიებები

2008 წლის აგვისტოში სამსახურმა უმოკლეს ვადაში შეისწავლა 2008 წლის კურსდამთავრებულთა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა პირადი საქმეები, გამოვლინდა კონკრეტული ხარვეზები, ზოგიერთი ატესტატის ქსეროასლი გაიგზავნა განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში ავთენტიკურობისა და ეკვივალენტობის დასადგენად, გამოვლინდა სტუდენტთა ერთიან ბაზაში დაურეგისტრირებელი სტუდენტები. ფაკულტეტის პასუხისმგებელ პირებთან კოორდინირებული მუშაობით არსებული ხარვეზები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი.

2008 წლის სექტემბერ–ოქტომბერში სრულად იქნა შესწავლილი სასოფლო–სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, გამოიკვეთა არსებული ხარვეზები, გაირკვა 900 სტუდენტის სტატუსის საკითხი, სასოფლო–სამეურნეო ფაკულტეტის დოკუმენტაცია დადგენილი წესებით გადაეცა უნივერსიტეტის ცენტრალურ არქივს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დეკანის მოადგილეებისა და უნივერსიტეტის არქივის წარმომადგენლებისაგან შექმნილი კომისია ამჟამადაც აგრძელებს მუშაობას უნივერსიტეტის არქივში, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების მიხედვით სტატუსის გარკვევის საკითხებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ თავის დროზე საქმისწარმოებაში დაშვებული შეცდომების თუ გარკვეული პირების უპასუხისმგებლობის გამო, პრობლემის მოგვარება სერიოზულად გაჭირდა და რამდენად მართებული დასკვნის წარმოდგენას შევძლებთ, ესეც სათუოა. დამერწმუნებით ალბათ, ძველი შეცდომების განხილვასა და შესწავლას, პრობლემის მოგვარებასთან ერთად, უნდა მოჰყვეს საქმისწარმოების წესების დახვეწა და მისი გამოყენება შემდგომი მუშაობის პერიოდში. სამწუხაროდ, ამ მხრივ არც ახლა გვაქვს თვითდამშვიდების საფუძველი. QA სამსახური პერიოდულად ახორციელებს სტუდენტთა პირადი საქმეების მონიტორინგს, კვლავ გამოვლინდა უხეში შეცდომები სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოებაში.

გასული წლის ზაფხულში უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით შემუშავებულ იქნა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებები, რაშიც ჩვენმა სამსახურმაც შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი. გამოიცა ბუკლეტი: ”სტუდენტის სამახსოვრო”, მასში დეტალურად იქნა ასახული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, უნივერსიტეტის ისტორია, მიზანი, ინფორმაცია ცალკეული ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამების, სხვადსხვა სკოლების, ცენტრებისა და კლუბების შესახებ.

მომზადდა პრეზენტაცია ”შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” და ”ღია კარის” დღეების ფარგლებში წარდგენილ იქნა აბიტურიენტების, მათი მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების წინაშე.

სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების პროცესში შემუშავებულ იქნა სტუდენტთა გამოკითხვების სპეციალური პროგრამა, აღნიშნული პროგრამა საშუალებას იძლევა სტუდენტებმა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა შეაფასონ კომპიუტერულად. რამაც გაზარდა გამოკითხვების სანდოობა და გაამარტივა შედეგების ანალიზი. ამჟამად თითქმის ყველა ფაკულტეტზე ჩატარებულია კვლევა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავება და კვლევის შედეგები მალე გამოქვეყნდება.

სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა და აკადემიურ საბჭოზე განხილვის შედეგად დამტკიცდა „სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხებისა

და უმაღლესი განათლების კრედიტების ცნობის წესი“ და ”რსუ–ში სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი”.

სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრის მუშაობაში.

სამსახურის მიერ მომზადდა და განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარვადგინეთ უნივერსიტეტის 2006–2008 წლებისა და 2008-2009 სასწავლო წლის თვითშეფასების ანგარიში. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა თვითშეფასების ანგარიშის ახალი ფორმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე სასწავლო წლის თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა დაგეგმილია 2010 წლის აპრილში. ამდენად, სამსახური უკვე იჭერს თადარიგს, დაგეგმილი გვაქვს საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტიზა.

2008 წლის ოქტომბერ–ნოემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ განხორციელდა კვლევა, რომლის მიზანი იყო უმაღლესი განათლების რეფორმის აღწერა და უმაღლესი განათლების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება. პროექტის მიხედვით კვლევაში მონაწილეობა მიიღო ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა, შესაბამისად სამსახურის მიერ საკმაოდ ვრცელი ანგარიში მომზადდა და წარედგინა ზემოთ აღნიშნულ ინსტიტუტს.

სამსახური მონაწილეობას ღებულობდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტების მომზადებასა და განხილვის პროცესში:

- ბაკალავრიატის დებულება
- მაგისტრატურის დებულება
- დოქტორანტურის დებულება
- სხვა უნივერსიტეტების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციისა და კრედიტების აღიარების წესი
- უწყისის ფორმა
- სტუდენტთა სწრებადობისა და ცოდნის შეფასების აღრიცხვის ჟურნალი
- სადისერტაციო საბჭოების დებულებები
- ფაკულტეტის დებულება
- მკაცრი აღრიცხვის ფორმების აღრიცხვა-გაცემის წესი
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია
- უმაღლესი საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების წესი

მონაწილეობას ვღებულობდი რსუ-ს სამართლებრივი აქტების შემსწავლელი კომისიის მუშაობაში.

წლის განმავლობაში გვქონდა საინფორმაციო შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან შეფასების სისტემაში, ჟურნალისა და უწყისის წარმოება-რეგისტრაციის წესში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. დაგეგმილი გვაქვს შეხვედრები სტუდენტებთან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების გაცნობისა და თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

განხორციელდა ზოგიერთი ფაკულტეტისა და დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ანალიზი, ხოლო შედეგები წარდგენილ იქნა აკადემიური საბჭოს წინაშე (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გასულ სასწავლო წელს შესწავლილ იქნა შემდეგი სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ანალიზი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,განათლების ფაკულტეტი, ჯანდაცვის ფაკულტეტი, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ქიმიის დეპარტამენტი, ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტი, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო საქმის დეპარტამენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი) .

სამსახური პერიოდულად აფასებდა გამოცდებისა და მიმდინარე შეფასებების ჩატარების პროცესს, სისტემატურად მონაწილეობს მობილობის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კომისიების მუშაობაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაუწია ორგანიზება რსუ-ს ერთიან სამაგისტრო ქსელში ჩართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს:

- სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობა პროგრამულ მიმართულებებთან
- სპეციალობაში სამაგისტო გამოცდების ჩატარების მონიტორინგი
- ჩარიცხვის პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა
- ერთიანი გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობა
- სასწავლო გრანტის გასაუმჯობესებლად სტუდენტთა რეგისტრაცია
- მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია

მიმდინარე სასწავლო წლისთვის დაგეგმილი ღონისძიებები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტიზა, თანამედროვე მოთხოვნებთან მათი თავსებადობის დადგენის მიზნით
- ✓ პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასება (გარე ექსპერტების ჩართვა შეფასების პროცესში)
- ✓ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ათვისებული სწავლის პერიოდის აღიარების პროცედურების დადგენა
- ✓ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის სრული მონიტორინგი
- ✓ უნივერსიტეტის პერსონალის მუშაობის ეფექტურობის შეფასების პროცედურების შემუშავება, შეფასების განხორციელება
- ✓ პერიოდული შეხვედრები უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით
- ✓ კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების წარმოების მონიტორინგი
- ✓ კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართების შევსებისა და გაცემის მონიტორინგი
- ✓ საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებების მიხედვით სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა ღონისძიებები

ბათუმი

2009 წლის 29 დეკემბერი

ლ. თურმანიძე